თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №5

თბილისი, 08 სექტემბერი, 2020

სხდომა დაიწყო 11:01 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ სარჯველაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული სამსახურის უფროსი ბექა ზეგარდელი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

– თორნიკე არჯევანიძე – ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

– ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

– მპგ „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ – შავლეგ ჭყოიძე;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
– „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI) – მერი კაპანაძე;
– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
– „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“ – მიხეილ ჭიღლაძე;
– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
– „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – გიორგი ტყებუჩავა;
– „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – პაატა ყვავაძე;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
– „სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო“ – მამუკა ტუსკაძე;
– „ახალგაზრდული ცენტრი ჩვენი თაობა 1921“ – ლევან ალუღიშვილი;
– „დემოკრატიული განვითარების ახალგაზრდული ცენტრი“ – გოდერძი მაისურაძე;
– „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ – მიხეილ ანდღულაძე;
– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
– „საზოგადოებრივი დამცველი“ – ირინა ფუტკარაძე;
– „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა მიხეილ სარჯველაძემ, სხდომა გახსნა 11:01 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ბატონმა მიხეილმა კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მისალმება;
2. მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის განხილვა, რომელიც გაეგზავნა შესაბამის უწყებებს რეაგირებისთვის;
3. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
4. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
5. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ ბატონი მიხეილი გადავიდა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციისა და მასზე შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული რეაგირებების განხილვაზე. პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „ევროპული საქართველოს" მაჟორიტარობის კანდიდატ ხათუნა გოგორიშვილის მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების კორუფციასა და ნეპოტიზმში

დადანაშაულებას, კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

ბატონმა ნიკოლოზმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული განმარტება, რომლის თანახმად, 2013 წლის 26 ოქტომბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებში შემუშავდა პროგრამა „ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრი ჩოხატაურში". პროგრამის მიზანი იყო სოციალურად დაუცველი, განსაკუთრებით, ასაკოვანი, ჩვენი თანამოქალაქეების დახმარება და საზოგადოებაში ინტეგრირება. პროგრამის დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება და დანიის წითელი ჯვრის საზოგადოება. თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, მუნიციპალიტეტსა და საქართველოს წითელ ჯვარს შორის ფორმდება ხელშეკრულება. ფინანსური თანამონაწილეობის პრინციპით, მუნიციპალიტეტი წითელ ჯვარს ურიცხავს წელიწადში, საშუალოდ, 50 000 ლარს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იღებს საქონელსა და მომსახურებას საერთაშორისო ორგანიზაციიდან. მაგალითად, 2019 წელს წითელმა ჯვარმა მუნიციპალიტეტს მიაწოდა 80 000 ლარის ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი, რაც თითქმის 30 000 ლარით აღემატებოდა მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულ თანადაფინანსებას. 2020 წელს პანდემიით გამოწვეული კარანტინის დროს წითელმა ჯვარმა შემოიტანა 65 000 ლარის ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი. უნდა აღინიშნოს, რომ ტვირთის განაწილებას და ბენეფიციარებისათვის მიწოდებას ახორციელებს წითელი ჯვარი. აქვე აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი არ ერევა და ვერც ჩაერევა ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკაში, რასაც სრულად განსაზღვრავს საქართველოს წითელი ჯვარი, და ჩოხატაურის ფილიალის შვიდივე თანამშრომელი შერჩეულ იქნა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. დასასრულ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არჩევნებთან ზემოაღნიშნულ საკითხს არანაირი შემხებლობა არ აქვს.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ მომდევნო ინფორმაციაზე სასაუბროდ, რომელიც შეეხებოდა „სტრატეგია აღმაშენებლის" განცხადებას (რომ პოლიცია ბანკების დავალიანების

ამომღებ სტრუქტურად ჩამოყალიბდა), კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ნინო ცაციაშვილს.

ქალბატონმა ნინომ განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ გამოვლენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯების შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტი. როგორც შს მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რამდენადაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2]-ე მუხლით გათვალისწინებულია ჯარიმები, რეაგირების მიზნით ინფორმაცია მიეწოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს. ქალბატონი ნინოს თქმით, ერთ-ერთ სამართალდამრღვევ პირს საინფორმაციო ბაზაში გადამოწმებისას აღმოაჩნდა სასესხო დავალიანება, რის გამოც მოხდა მასთან აღმასრულებლის დაკავშირება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, პოლიციის ქმედებებში არ იკვეთება არანაირი სამართლადარღვევა, რადგან მსგავს შემთხვევებში აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და აღმასრულებელთან თანამშრომლობას სამართალდამცავ ორგანოებს ავალებს თვით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი. ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიციელები საკუთარი მანდატისა და კანონის შესაბამისად მოქმედებდნენ.

მომდევნო საკითხზე სასაუბროდ, რომელიც შეეხებოდა რუსთავის მერიაში სახელისუფლებო ზეწოლას, ბატონმა მიხეილმა სიტყვა გადასცა კვლავ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

როგორც ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქ. რუსთავში 2020 წლის 25 აგვისტოს თბილისის, ტაშკენტის, პირველი მაისისა და ოდიშარიას ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით, ღამის პირველი საათისთვის არასრულწლოვანი პირები აკრავდნენ პარტია „ევროპული საქართველოს“ პლაკატებს წესის დარღვევით. ზემოაღნიშნულმა პირებმა განმარტეს, რომ საქმიანობას ეწეოდნენ გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, მუნიციპალიტეტის ორგანოები სააგიტაციო მასალებისათვის გამოყოფილი სტენდებისა და ადგილების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, ხოლო წინასაარჩევნო აგიტაცია იწყება კენჭისყრის

დღემდე 60 დღით ადრე. ბატონი ნიკოლოზის თქმით, რამდენადაც იმ დროისთვის არ იყო სააგიტაციო მასალების გაკვრასთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო აქტები მიღებული, მერიის ზედამხედველობის სამსახურმა იმოქმედა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად და მიიღო სათანადო ზომები.

დასასრულ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიერ არჩევნებთან დაკავშირებით განხორციელებული აქტივობების შესახებ, რაც მოიცავს როგორც საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული აქტების მიღებას სააგიტაციო ადგილების გამოყოფასთან, ისე სააგიტაციო მასალების აკრძალვა/დაშვებასთან დაკავშირებით. ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული აქტები, 4 მუნიციპალიტეტის გარდა, უკვე ყველა მუნიციპალიტეტშია გამოცემული, ხოლო დარჩენილ 4 მუნიციპალიტეტში 10 სექტემბრამდე ჩანიშნულია საკრებულოს სხდომები და მათ შემთხვევაშიც ამ თარიღისთვის უკვე მიღებული იქნება შესაბამისი ნორმატიული აქტები. რაც შეეხება საჯარო მოხელეთა გაფრთხილებას, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აბსოლუტურად ყველა მუნიციპალიტეტმა გააფრთხილა მათ უწყებაში დასაქმებული საჯარო მოხელეები და მისცა დეტალური განმარტებები.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ მომდევნო ინფორმაციაზე, რომელიც შეეხებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შესაძლო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა სხდომის მონაწილეთ გააცნო მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული განმარტება. განმარტების თანახმად, 2018 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა სოფელ ბაზალეთის, ჭიპაშვილების უბნის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება გზის კეთილმოწყობის შესახებ, რაზეც 2018 წლის 25 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაცემული პასუხით (საპასუხო წერილის №49/6719), მოსახლეობაზე გაიცა დაპირება, რომ პროექტი წარდგენილი იქნებოდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დაფინანსების მოსაპოვებლად და დაფინანსების შემთხვევაში მოხდებოდა აღნიშნული გზის რეაბილიტაცია. იმავე წელს შეძენილ იქნა გზის პროექტი, რომელიც 2018 წლის 24 დეკემბერს საკრებულომ მოიწონა განკარგულებით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №1578 დადგენილებით გამოიყო თანხა,

რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა საკრებულოს 2020 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით.

კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ზემომითითებული ინფორმაციის იმ ნაწილზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ ხარაგაულის საკრებულოს მაღალჩინოსანმა სოციალურ ქსელში საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის „ქართული ოცნებიდან" წარდგენილ კანდიდატებს მადლობა საგანგებოდ გადაუხადა. ბატონი მიხეილის თქმით, თუ დადგინდება, რომ ზემოაღნიშნული ქმედება წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას, არ შეიძლება მისი დატოვება რეაგირების გარეშე.

როგორც ბატონმა ნიკოლოზმა განმარტა, იგი დააზუსტებს მუნიციპალიტეტში საკრებულოს მაღალჩინოსნის განცხადებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და შედეგს მომდევნო სხდომისთვის აცნობებს კომისიას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემთხვევასთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრის" წარმომადგენელმა, ბატონმა ვლადიმერ ბოჟაძემ.

ბატონი ვლადიმერის განცხადებით, ეს შემთხვევა დიდი ალბათობით წარმოადგენს აგიტაციის წესების დარღვევას, ვიდრე ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში რთულია, გამიჯნო მოხელის მიერ აგიტაციის წესების დარღვევა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისგან. მისი თქმით, სადაც აუცილებელია, იქ საჭიროა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მკაცრიც. ბატონმა მიხეილმა ხაზი გაუსვა კომისიის წინა სხდომებზე გამოვლენილი ინიციატივის მნიშვნელობას, რომლის საფუძველზეც განხორციელდა საჯარო მოხელეთა ქცევების მარეგულირებელ წესებში საჭირო ცვლილებები და მოხდა მათ შესახებ მოხელეთა მაქსიმალური ინფორმირება.

შემდეგ სიტყვა გადაეცა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" (ISFED) წარმომადგენელს, ქალბატონ ლელა ხათრიძეს, რომელმაც სხდომაზე

დამსწრე საზოგადოებას ამცნო მათი ორგანიზაციის საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული მომდევნო შუალედური ანგარიშის გამოქვეყნების თაობაზე.

ქალბატონი ლელას განცხადებით, საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ხშირ შემთხვევებში წაშლილია ზღვარი მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის. მისი თქმით, საყურადღებოა, ზღვარი იყოს გამოკვეთილი, რათა ადგილი არ ჰქონდეს არაკონკურენტულ პირობებს. როგორც მან აღნიშნა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება კვლავ რჩება სერიოზულ პრობლემად და მას ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოს მხრიდან, რათა ბიუჯეტის რესურსების წარმოჩინებით ბენეფიტები არ მიეწეროს კონკრეტულ პარტიას.

თავმჯდომარის განცხადებით, წინა ანგარიშების მსგავსად, უწყებათაშორისი კომისია გაეცნობა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" (ISFED) ზემოაღნიშნულ ანგარიშს და მასში მოყვანილ შემთხვევებს აუცილებლად მოჰყვება შესაბამისი რეაგირება. მისი თქმით, კომისია თავისი უფლებამოსილებისა და მანდატის ფარგლებში ყველანაირად შეეცდება, მმართველი პარტია არ ასოცირდებოდეს ხელისუფლებასთან ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

შემდეგ ისაუბრა ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი"). მან დადებითად შეაფასა კომისიის საქმიანობა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების კუთხით. ბატონმა დანიელმა ასევე ისაუბრა არჩევნების სათანადოდ ჩატარების უზრუნველსაყოფად ცესკო-ს მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

შემდგომ ბატონმა მიხეილმა კომისიის წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია ემიგრანტებთან მიმართებით. *„ქართული ოცნება" წინასაარჩევნოდ უთანასწორო ბრძოლის ახალ მეთოდს მიმართავს"* – შემოსული ინფორმაცია მედიის მიერ ამგვარი შეფასების შესახებ გაიგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებისა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სხდომის მონაწილეთ აცნობა, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტების თანახმად, „მთავარი არხის" მიერ გავრცელებული საუბრის ჩანაწერი, სადაც ისმის გვანცა სიგუას ხმა, მუნიციპალიტეტისთვის არ არის სარწმუნო. ამიტომ მერიამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიმართა ფაქტის მოკვლევასთან დაკავშირებით. ბატონი ნიკოლოზის თქმით, აუდიტის სამსახურმა აცნობა შუალედური პასუხი და დამატებითი მოკვლევის შესახებ მიაწვდიან ინფორმაციას.

მედიამონიტორინგის შედეგად შემოსული მომდევნო ინფორმაცია ეხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დავალიანების ჩამოწერას (ინფორმაცია რეაგირებისთვის დაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ გორის სამხედრო ჰოსპიტალის ახალმა ხელმძღვანელობამ დოკუმენტაციის შესწავლისას აღმოაჩინა ჰოსპიტალისადმი ყოფილ პაციენტთა მხრიდან 2009 წლიდან არსებული ფინანსური დავალიანება, რისი დაფარვის შესაძლებლობაც არ არსებობს. შესაბამისად, ჰოსპიტალმა მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით. მინისტრის მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე, ჰოსპიტალმა ჩამოწერა მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანებები. როგორც ბატონმა რატიმ აღნიშნა, ფაქტი არანაირად არ უკავშირდება საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას (რადგან გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე), შესაბამისად, არც ამომრჩევლის მოსყიდვას, ამასთან, არც მოწოდება ყოფილა რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერის ან საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერისგან თავისშეკავებაზე. უწყების წარმომადგენლის თქმით, სამინისტროში მიღებული მსგავსი გადაწყვეტილებები მიმართულია სამხედრო მოსამსახურეთა და ნებისმიერი მოქალაქის კეთილდღეობისკენ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა პროცედურა დაცული იყო კანონმდებლობის შესაბამისად.

ბატონი მიხეილი დაინტერესდა, როდის შეიცვალა ხელმძღვანელობა, რამდენ მოქალაქეს შეეხო ზემომითითებული ბენეფიტი, ან რა კრიტერიუმებით, რადგან მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია დავალიანების ჩამოწერის შესახებ მოქალაქეების მხოლოდ ნაწილზე.

ბატონი რატის განმარტებით, აგვისტოში შეცვლილმა ხელმძღვანელობამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამინისტროდან მიღებული თანხმობის საფუძველზე, დავალიანება ჩამოაწერა ათასამდე მოქალაქეს. მისი თქმით, მისთვის უცნობია ინფორმაცია ნაწილობრივი ჩამოწერის შესახებ და შერჩევითობა გამორიცხულია – კანონმდებლობის შესაბამისად, სავარაუდოდ, ჩამოიწერა ხანდაზმული დავალიანება, სხვა შემთხვევაში, ალბათ, არის დავალიანების დაფარვის შესაძლებლობა. უწყების წარმომადგენლის თქმით, მიზეზით დაინტერესდება და დაზუსტებულ მონაცემებს მოაწვდის კომისიას.

საკითხთან დაკავშირებით საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გაიზიარეს ბატონი რატის პოზიცია და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ რეაგირების საჭიროება არ არსებობს, რადგან ხსენებული ფაქტი არ შეიცავს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისა და დანაშაულის ნიშნებს.

შემდგომ განხილულ იქნა ამომრჩეველზე ზეწოლის ფაქტები ჭიათურაში, რომლის შესახებაც ინფორმაცია გაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა, საკითხზე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ ფაქტი არ დასტურდება და მერია მკაცრად ემიჯნება მსგავს ინციდენტებს. ამასთან, კანონით გათვალისწინებული უმკაცრესი ზომები იქნება მიღებული მერიის ნებისმიერი თანამშრომლის მიმართ წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლებისათვის თავისუფალი არჩევანის გამოხატვის ნებისმიერი სახის შეზღუდვის ფაქტის დაფიქსირებისას. ბატონი ნიკოლოზის განმარტებით, განცხადებაში ზოგადად იყო მოხსენიებული დაშინება, სამწუხაროდ, კონკრეტულ ფაქტებზე საუბარი არ ყოფილა. ერთადერთი შემთხვევა, როცა მინიშნება გაკეთდა საჯარო მოხელეზე (მერიის წარმომადგენელი

ქვაციხის ადმინისტრაციულ ერთეულში), ინფორმაციის მიღებისთანავე მას ჩამოერთვა ახსნა-განმარტება და ინფორმაციისთვის გადმოეგზავნა კომისიის სამდივნოს.

ბატონი მიხეილი დაინტერესდა, რა რეაგირება მოჰყვა მედიაში გავრცელებულ ერთ-ერთი პოლიტიკოსის მიერ ირაკლი კობახიძის თაობაზე შეფასებას *(„ირაკლი კობახიძე რითაც არის დაკავებული, ამას საარჩევნო კოდექსის ენაზე საარჩევნო წესების დარღვევა და შავი ფულის გამოყენება ჰქვია“).* როგორც თავადვე აღნიშნა, აქ კონკრეტულ ფაქტებზე არ არის საუბარი, ინფორმაცია ატარებს უფრო შეფასებით ხასიათს; თუმცა, დასაზუსტებლად მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელს, ქალბატონ ლონდა ბიჭიკაშვილს.

ქალბატონი ლონდას განცხადებით, ხსენებული ინფორმაცია არის ზოგადი ხასიათის და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, უწყების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ამასთან, მისი თქმით, სამომავლოდ თუ საკითხში გამოიკვეთება მეტი კონკრეტიკა – თუ რა იგულისხმება ამგვარ განცხადებაში, შესაძლებელია ამ ფაქტის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, ბატონი ბესიკ ქოჩიაშვილი, ეთანხმება ქალბატონი ლონდას მოსაზრებას, რადგან აღნიშნული განცხადება არ შეიცავს კონკრეტულ ფაქტებს და არის ზოგადი ხასიათის. ამიტომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

კომისიის თავმჯდომარე შემდგომ შეეხო ლევან სამუშიას განცხადებას *(„ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანია ამომრჩევლების დაშინებითა და ზეწოლით დაიწყო, არცერთი ამომრჩევლის დაშინება „ოცნებას“ არ გაუვა“),* რომელიც ეხებოდა „ლელოში“ გაწევრებული ქალბატონის მიმართ ზეწოლისა და მუქარის ფაქტებს და რეაგირებისათვის გადაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განმარტა, ინფორმაცია ტელევიზიით გაშუქებისა და კომისიის სამდივნოს მიერ რეაგირებისთვის სამინისტროსთვის მიწოდების შემდეგ გადაიგზავნა პოლიციაში. ქალაქ თბილისის პოლიციის საგამოძიებო მთავარ

სამმართველოში შედგა ქალბატონ მანანა სულთანიშვილთან გასაუბრება, რომელმაც დააზუსტა მის მიერ მითითებული ფაქტები. უწყების წარმომადგენლის თქმით, პოლიციაში გამოიკითხა მეორე მხარეც – „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ქეთევან ღვინიაშვილი. როორც ნინო ცაციაშვილი აღნიშნავს, ქეთევან ღვინიაშვილმა პირიქით განმარტა – რამდენიმე თვის წინ მანანა სულთანიშვილთან კომუნიკაციისას მან სთხოვა „ქართულ ოცნებაში“ კოორდინატორის პოზიციაზე დასაქმება. თუმცა, მისი განმარტებით, იმ დროისთვის ვაკანსიის უქონლობის გამო უარი ეთქვა, რის შემდეგაც გადაწყვიტა „ლელოსთან“ შეერთება და იქ დასაქმება. ქეთევან ღვინიაშვილმა კატეგორიულად უარყო მანანა სულთანიშვილის მიმართ რაიმე სახის ზეწოლის ფაქტი. შესაბამისად, რაიმე სამართალდარღვევა ან დანაშაულის ნიშნები ამ ფაქტის შესწავლის შედეგად არ გამოკვეთილა. აქვე ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ აპირებს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ მაკა სამნიაშვილის გამოკითხვას, ვისზეც, ასევე, მიუთითებდა მანანა სულთანიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ქალბატონ ნინოს – არის თუ არა მანანა სულთანიშვილი საარსებო შემწეობის მიმღები პირი. ქალბატონი ნინოს განმარტებით, სულთანიშვილი საარსებო შემწეობის მიმღები პირია, მაგრამ დაზუსტებული ინფორმაცია ექნებათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განახლებული ინფორმაციის მოწოდების შემდეგ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა გიორგი წოწკოლაურმა, განაცხადა, რომ, დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, გამოცხადებულია მორატორიუმი და არავის არ ეხსნება სოციალური დახმარება. მისი თქმით, სოციალური აგენტები არ გადიან მისამართებზე კოვიდინფექციის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით. აქედან გამომდინარე, მუქარა სოციალური დახმარების მოხსნასთან დაკავშირებით არის ტყუილი და არ შეესაბამება რეალობას. ამასთან, მან ხაზი გაუსვა მთავრობის დადგენილებას, რომლის თანახმად, პირველ იანვრამდე არ გადამოწმდება სოციალურად დაუცველი ოჯახები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ვინმე თავად მიმართავს სამინისტროს განცხადებით ამ ეტაპზე გადაფასების საჭიროებით.

ქალბატონმა ნინო ცაციაშვილმა დასძინა, რომ გრძელდება ფაქტის შესწავლა, რომ არ დარჩეს კითხვის ნიშნები და არ მოხდეს ამ ფაქტით მანიპულირება; გასაუბრებების დასრულების შემდგომ კი, კომისიას მიეწოდება დაზუსტებული ინფორმაცია.

მედიამონიტორინგით შემოსული ბოლო ინფორმაცია ეხებოდა გურიის პოლიციის უფროსს მოსყიდვის ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც სოციალურ ქსელში გაავრცელა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ბესო ქათამაძემ. ინფორმაცია რეაგირებისთვის გადაგზავნილ იქნა საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

როგორც გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, აღნიშნული ინფორმაცია ძალზედ ზოგადია და შეიცავს ერთი პირის მოსაზრებას არგუმენტებისა და მტკიცებულებების გარეშე. შესაბამისად, უწყებიდან რაიმე სახის რეაგირება არ განხორციელებულა. ამასთან, ქალბატონმა ლონდამ აღნიშნა, რომ ბესო ქათამაძის მხრიდან დაზუსტებული ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში პროკურატურას ექნება შესაბამისი რეაგირება.

დღის წესირგის შესაბამისად, სიტყვა გადაეცა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ბატონი მამუკა ტუსკაძე („სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო“) სიტყვით გამოსვლისას შეეხო ორ საკითხს და ითხოვა, დაინტერესებულიყვნენ შესაბამისი უწყებები. მისი თქმით, მის ორგანიზაციას აშკარად ექმნება პრობლემები ხელოვნურად (კერძოდ, ორგანიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამსახურის უფროს რომან ალთუნაშვილის ქალიშვილს (ნატო ალთუნაშვილს) მამის პოლიტიკური აქტივობის გამო არ ნიშნავენ თეთრიწყაროს არქიტექტურის სამსახურის უფროსის პოზიციაზე, კონკურსის გავლისა და გამარჯვების მიუხედავად). ამასთან, როგორც თავად აღნიშნავს, რუსთავში მდებარე მის პირად საკუთრებაში არსებულ ფართებზე სრულიად უკანონოდ შეჩერდა რეგისტრაცია და მის მიმართ (როგორც პარტიის თავმჯდომარის) დაწყებულია გამოძიება. მისი ვარაუდით, ეს წინაპირობაა იმისა, რომ პარტიამ საარჩევნოდ მოძიებული სახსრები ვერ გამოიყენოს და არჩევნებში ვერ მიიღოს მონაწილეობა სრულად, რადგან გამოძიების ვადები ამ დროს არის შეუზღუდავი.

შესაბამისად, ითხოვს, პროკურატურის მხრიდან მის დროულად გამოკითხვას ან შეწყდეს გამოძიება.

მამუკა ტუსკაძე შეეხო ნარკოლოგიური და ნასამართლობის ცნობების აღების საკითხსაც. მისი თხოვნაა, გაიზარდოს აღნიშნული ცნობების მოქმედების ვადა, რათა საარჩევნო სუბიექტებს არ მოუხდეთ რამდენიმეჯერ შესაბამისი ცნობის აღებისთვის საჭირო პროცედურების გავლა, რაც ხარჯებთანაც არის დაკავშირებული.

ბატონმა მამუკამ კიდევ რამდენიმე საკითხზე ისაუბრა, კერძოდ: მოეხსნათ გადასახადი, ბიზნესორგანიზაციებისთვის პანდემიის პირობებში 750 ლარამდე გადასახადის მოხსნის მსგავსად, იმ პარტიებსაც, რომლებიც არ ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან; და ცესკო-მ დააჩქაროს პარტიებისთვის ნომრების მინიჭების კენჭისყრის პროცედურა, რათა ყველამ თანაბარ პირობებში შეძლოს საარჩევნო კამპანიის ჩატარება.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბატონი მამუკას მიერ წამოჭრილი საკითხი შესასწავლი და მოსაწესრიგებელია საარჩევნო პერიოდში რაიმე სახის გართულების თავიდან ასარიდებლად. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ხასიათის თემებზე რეაგირება არ წარმოადგენს კომისიის კომპეტენციას, სხდომას ესწრებიან შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები, რომელთა ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს და კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლონ ზემომითითებული საკითხები.

ბატონმა მიხეილმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება 2018 წლის არჩევნების შემდეგ ოდირ-ის დასკვნის მიხედვით რამდენიმე თვის წინ საარჩევნო კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ცვლილების შემდეგ კომისიის მანდატი მნიშვნელოვნად შევიწროვდა – კომისიას უფლება აქვს, განიხილოს მხოლოდ საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტები და იმუშაოს მათ პრევენციაზე. შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე პირებს სთხოვა, მხედველობაში მიეღოთ საკანონმდებლო რეგულაციები საარჩევნო სუბიექტთა აქტივობების წარმართვის პროცესში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ცოტნე ყავლაშვილმა, ბატონი მამუკა ტუსკაძის მიერ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პოლიტიკური პარტიების

რეგისტრაციისა და მათი დაფინანსების მოცულობის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში კონკრეტული თანხები. მისი თქმით, ბატონი მამუკას მოთხოვნა არის ირიბი დაფინანსების ფორმა, და მიიჩნევს, რომ ეს საკითხი უნდა განხილულიყო თავის დროზე საარჩევნო კანონმდებლობის ნაწილში, ხოლო შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიიღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას.

დავით ლილუაშვილმა („საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი") მიმართა კომისიას, თუ მოიწვევენ სხდომებზე სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" წარმომადგენელს სხდომაზე დამსწრე პირთათვის ამომრჩეველთა შესახებ ინფორმაციის გაცნობასთან დაკავშირებით.

ბატონმა მიხეილმა აღნიშნა, რომ კომისიის პირველ სხდომაზე დასახელებული უწყების ხელმძღვანელმა პრეზენტაცია ჩაატარა დასმულ საკითხთან დაკავშირებით და ინფორმაცია გავრცელდა მედიითაც. ამასთან, სხდომის მონაწილეთ სამომავლოდაც მიეწოდებათ საკითხის ირგვლივ განახლებული ინფორმაცია.

ნატალია ხოხიაშვილმა („ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის") კითხვით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, თუ დაიწყო გამოძიება გიორგი ვაშაძის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით მისი პარტის წევრზე შანტაჟთან დაკავშირებით.

ქალბატონი ნინო ცაციაშვილის განცხადებით, დანაშაულის ნიშნების შემცველი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების ამსახველი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, რეაგირება იქნება შესაბამისი.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა (ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი), მიუხედავად იმისა, რომ საკითხი არ შედის კომისიის კომპეტენციაში, ითხოვა განმარტების გაკეთება ბატონი მამუკა ტუსკაძისათვის. მისი თქმით, პარტიისთვის ნომრის მინიჭება მნიშვნელოვანი საკითხია. ცესკო ყოველთვის ცდილობს, ადრეულ ვადებში გადაწყვიტოს ეს საკითხი, მაგრამ რამდენიმე გარემოება, სამართლებრივი მოცემულობა არ იძლევა ბოლომდე ამის შესაძლებლობას. მან მაგალითად დაასახელა კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 43-ე დღისა ბლოკების შექმნის დღეები.

შესაბამისად, ამ პროცესის დასრულებამდე ვერ ჩატარდება კენჭისყრა პარტიისთვის ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სხდომის ბოლოს, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

სხდომა დასრულდა 12:50 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის სამდივნო: